ბრძანება:**ბ16.3722091001**

თარიღი:**01/04/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ

ავთანდილ გოლიაძის დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 31 მარტი N ბ37.37220901 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის მე-2 რანგი, 1 სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილის და საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრი ავთანდილ გოლიაძე დაინიშნოს ამავე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

3. ბრძანება ძალაშია მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ნანა თავდუმაძე

საკონკურსო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი